პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 9 ივნისი, 1943 წ. № 124 (6749). ფასი 20 კაპ.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 8 ივნისის დილის ცნობა

7 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი შეტევრაკეტის ჯგუფმა უფროს ლეიტენანტ დენისოვის მეთაურობით ღამით მტრის განლაგებაში შეაღწია და ჰიტლერელთა ჯგუფი გაანადგურა. გერმანელები ცდილობდნენ გარს შემორტყმოდნენ ჩვენს დაზვერვას. იმ ქვეგანაყოფის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ტურა, სროლა ასტეხეს, გაჩფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. არტილერიის საფარველით ჩვენი შეტევრაკები წმიდიდან დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენი არტილერისტები უშენდნენ მტრის ჯარების კოლონას. მოსპობილია გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი, დაზიანებულია 3 ტანკი და აფეთქებულია საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

ბელგოროდის რაიონში გერმანელებმა იერიში მოიტანეს 6 ნაწილის საბრძოლო დაცვაზე. გაფფორებულ ხელჩართულ შეტაკებაში ჩვენმა მებრძოლებმა გასწყვიტეს 60 ჰიტლერელი და უკუაგდეს მტერი. საპაერო ბრძოლაში ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 6 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მათ შორის 2 ბომბდამშენი საბჭოთა კავშირის გმირნი, გვარიანის უმცროსმა ლეიტენანტმა ამხ. ნოვიკომა მოსპო.

* * *

ბალაკლეის რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე ცდა გადმოსულიყო მდინარე სევერნი დონეცის მარცხენა ნაპირზე. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპობილია და მდინარეში დაიჩაჩა 100-მდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 2 მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევი, დაზიანებულია ბლინდაჟი და დამტვრეულია 10 საზიდარი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მტერმა იერიში მოიტანა იმ უბანზე, რომელსაც იცავს ქვეგანაყოფი კაპიტან ამხ. პოხომენკოს მეთაურობით. გერმანელებს თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვდნენ. მათ უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს ბევრი ოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი. მეტყვიამფრქვეველმ ამხ. მაკინმა ამ ბრძოლაში 20-ზე მეტი გერმანელი დახოცა.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი ნაწილების არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 10 ძ�იწური საცეცხლე წერტი და 8 ბლინდაჟი, ჩახშობილია 7 საარტილერიო და 3 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ერთ უბანზე ჰიტლერელთა რაზმი ცდილობდა დაეზვერა ჩვენი თავდაცვა. ნ ნაწილის მებრძოლებმა სანგრებთან მოუშვეს გერმანელები და მიბრაწინთი ცეცხლით საკვლებით მოსპეს მტერი.

* * *

სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 4 სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია 4 ორთქლმავალი, 45 ვაგონი და ცისტერნი. გზატეხილებზე პარტიზანებმა აფეთქეს მტრის 11 ავტომანქანა ჯარისკაცებიანად და საჭურველიანად. გარდა ამისა, პარტიზანებმა გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი და ცეცხლი წაუკიდეს ბენზინის საწყობს.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 1-ლი ბომბდამშენი ესკადრის მე-2 ჯგუფის მე-4 რაზმის თვითმფრინავ „იუნკერს-87"-ის რადისტ-მსროლელმა უნტერ-ოფიცერმა რიჰარდ ჰეგერმანნა განაცხადა: „1943 წლის აპრილამდე მე მე საფრანგეთში ვიყავი. რუსეთში ამას წინათ მოვედი და მარტო სამი გაფრენის მოხდენა მოვასწარი. კურსკზე თავდასხმისას მე-4 რაზმმა ნთელი თავისი თვითმფრინავები დაკარგა. მე საფრანგეთში ვფრინავდი და არა ერთხელ მომიღია მონაწილეობა საპაერო ბრძოლებში, მაგრამ ასეთი ბრძოლები, როგორიც კურსკზე ვიხილეთ, მე ჯერ არ მინახავს. ქალაქის მისადგომებზე ჩვენ შეგვხვდნენ რუსთა ავიაგამანადგურებლები, იერიში მოიტანეს და ზედიზედ ჩამოაგდეს ყველა ჩვენი თვითმფრინავი. მეორე ჯგუფის სხვა რაზმებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

ჩვენს აეროდრომზე თავდასხმებისას რუსი მფრინავები ძალიან გაბედულად მოქმედებდნენ. მაგალითად, 6 მაისს მათ, მიუხედავად მძლავრი საზენიტო ცეცხლისა, ყველა ჩამოაგდეს და მიწაზე მოსპეს 11 თვითმფრინავი. ამ თავდასხმის დროს რუსებმა 2 თვითმფრინავი დაკარგეს, გერმანიის საინფორმაციო ბიურო კი ცნობაში აცხადებდა, რუსებმა 51 თვითმფრინავი დაკარგესო. ამ ამბავთან დაკავშირებით ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ გერმანიის ცნობები ურცხვად სტყუიან".

* * *

გერმანელმა კაციჭამიებმა სულ მთლად გადაბუგეს კალინინის ოლქის სოფლები ზაბელიე, რუდანი, კუზმინა და ჩერნოეო. ფაშისტმა მკვლელებმა დახვრიტეს და ცოცხლად დასწვეს ამ სოფლების 100-ზე მეტი სრულიად უდანაშაულო მცხოვრები, მათ შორის ქალები და ბავშვები. გერმანელებმა დაასწვეს კოლმეურნეთა ყველა საცხოვრებელი სახლი, 2 სკოლა და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი.

### 8 ივნისის საღამოს ცნობა

8 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

7 ივნისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაანიავეს მოწინააღმდეგის სულ ცოტა 20 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დაამტვრიეს რკინიგზის ეშელონი, დასწვეს საწვავის საწყობი, აფეთქეს საომარი მასალების ორი საწყობი, გაჩფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 250-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაამტვრიეს მოწინააღმდეგის 3 ნაღმსატყორცანი, 7 ტყვიამფრქვევი, 10 ავტომანქანა ტვირთიანად და ჩაახშეს რამდენიმე საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა იერიში მიიტანეს გერმანელთა პოზიციებზე, რომლებიც ვამაგრებული იყვნენ მდინარის მარცხენა ნაპირზე. ბრძოლის შედეგად მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა და უკუგდებულ იქნა მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

* * *

სევსკის, რაიონში ჩვენი ნაწილები დაზვერვას ეწეოდნენ და საარტილერიო სროლას აწარმოებდნენ მოწინააღმდეგესთან. საარტილერიო ცეცხლით დაზიანებულია გერმანელთა 2 ტანკი და მოსპობილია მოწინააღმდეგის 3 ასეულამდე ქვეითი ჯარი. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გერმანელებს წაართვეს 2 ტაკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 4 ტყვიამფრქვევი, 60 ავტომატი და შაშხანა. წანოყვანილია ტყვეები.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ნ ნაწილის არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მტრის თავმოყრილ ქვეითს ჯარზე, მოსპეს რამდენიმე ავტომანქანა და საზიდარი საომარ მასალიანად და გაჟლიტეს 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ერთ უბანზე გერმანელთა რაზმმა სცადა ნავებით გადმოსულიყო მდინარე სევერნი დონეცის მარცხენა ნაპირზე. ჩვენმა მებრძოლებმა ცეცხლი დაუშინეს მოწინააღმდეგის ნავებს და მოსპეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელები.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ანადალურიანა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია მტრის წინააღმდეგობის ძლიერ გამაგრებული კვანძი. გარდა ამისა, დანგრეულია მოწინააღმდეგის 18 საცეცხლე წერტი და მიწური. მოსპობილია 3 ქვემეხი, 9 ტყვიამფრქვევი, 8 ნაღმსატყორცანი და აფეთქებულია საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

ვოლხოვის ფრონტის ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიში. დაჭკარგარა 150-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა და დაჭრილთა სახით, მოწინააღმდეგემ პირველივე პოზიციებზე დაიხია. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 5 დაზგის ტყვიამფრქვევი, ბევრი შაშხანა, ავტომატი და საომარი მასალა, ტყვედ წამოყვანილია სამი გერმანელი ოფიცერი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ნ ნაწილის ქვეგანაყოფმა მოახდინა დაზვერვა ბრძოლით. საბჭოთა მებრძოლები მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრნენ და ხელჩართულ შეტაკებაში გაჟლიტეს 60 ჰიტლერელი. აფეთქებულია მტრის რამდენიმე ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი.

* * *

გომელის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა „ელეზნიაკმა" აფეთქა მოწინააღმდეგის ორი სარკინიგზო ეშელონი. დამტვრეულია ორთქლმავალი, 11 ვაგონი ჯარებიანად და ორი პლატფორმა საზენიტო ქვემეხებიანად. ბელორუსი პარტიზანების სხვა რაზმმა ორი კვირის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მატარებელი და 3 სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია ორი ორთქლმავალი, 15 ვაგონი და ორი ჯავშნიანი ბაქანი.

* * *

გერმანელთა მიერ ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მცხოვრებნი გმირულ წინააღმდეგობას უწევენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. ამას წინათ სადგურ სლავუტაში (უკრაინა) მივიდა ეშელონი საბჭოთა მოქალაქეებისა, რომლებიც გერმანელებს ძალით მიჰყავდათ გერმანიის კატორღაში. ერთ ვაგონში მყოფმა ქალებმა დაახრჩეს 4 მებადრაგე გერმანელი და მიიმალნენ.

* * *

იუგოსლავიელი პარტიზანები ჰერცეგოვინასა, ჩერნოგორიასა და სანჯაკში გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან გერმანელ-იტალიელი ოკუპანტების წინააღმდეგ. პატრიოტები შძიმე ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს. ზაგრების რაიონში პარტიზანები თავს დაესხნენ მტრის აეროდრომს, დასწვეს ორი თვითმფრინავი და 30 პლანერი, ხელთ იგდეს 5 ტყვიამფრქვევი, 100-ზე მეტი შაშხანა, 10.000 ვაზნა და ორი ავტომანქანა. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 120 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხორვატიის ზაგორიეში პატრიოტებმა მოჰკლეს და დასჭრეს 60 ჰიტლერელი და ხელთ იგდეს ტყვეები. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 134 შაშხანა, 50.000 ვაზნა და სხვა სამხედრო ქონება. სხვა რაიონში პატრიოტებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა ორი ეშელონი.

## საქართველოს სსრ სახალხოკომისაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

# 1943 წელს მარცვლეულ თავთავიან კულტურათა მოსავლის აღების, გალეწვისა და დამზადების შესახებ

1943 წელს მარცვლეულ თავთავიან კულტურათა მოსავლის აღების დროულად და ორგანიზებულად ჩატარებისა და კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოს წინაშე მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებათა აუცილებლად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

## I. მოსავლის აღებისათვის მზადების დარგში

1. დავალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს, მარცვლეულ თავთავიან კულტურათა ნაოესების მქონე რაიონთა რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

ა) ერთი დეკადის ვადაში შეადგინონ თითოეული კოლმეურნეობისა, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ის მიხედვით მარცვლეულ კულტურათა მოსავლის აღების ჩატარების სამუშაო გეგმები; გეგმებში გაითვალისწინონ მარცვლეულ კულტურათა მოსავლის აღების სწორად შეხამება სხვა სამუშაოებთან, რომლებიც მოსავლის აღებას ემთხვევა (სათორნე კულტურათა ნათესების გათოხნა და დამუშავება, ადრეულ ბოსტნეულ კულტურათა აღება), და უზრუნველჰყონ კოლმეურნეობათა მუშახელისა და სხვა საწარმოო შესაძლებლობათა სწორი განაწილება;

ბ) ორი კვირის ვადაში დაუწესონ მარცვლეულის აღების კონკრეტული დავალებანი ყოველ ბრიგადას, რგოლსა და მოსავლის ასაღებ აგრეგატს.

შედგენილი სამუშაო გეგმები განიხილონ და დაამტკიცონ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა საწარმოო თათბირებზე, აგრეთვე მტს-ის საბჭოს სხდომაზე;

გ) შეამოწმონ „1943 წლის მოსავლის აღებისათვის კომბაინებისა და მოსავლის ასაღები მარტიკი მანქანების მომზადების შესახებ" საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 22 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში არა უგვიანეს, ვიდრე პურეულის მასობრივი აღების დაწყებამდე 5-7 დღით ადრე, დამთავრდეს კომბაინების, სალეწი მანქანებისა და მოსავლის ასაღები და მარცვალსაწმენდი სხვა მანქანებისა და ინვენტარის (ძნის მკნავების, სამკელების, „ლობგრეიკების", სათიბი მანქანების, ცელების, ნამგლების და სხვ.) რემონტი;

დ) მოსავლის ასაღები მანქანებისა და ინვენტარის დროული რემონტის უზრუნველსაყოფად დაუყოვნებლივ მოაწყონ ყველა კოლმეურნეობაში, მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში ლითონის ჯართის და წინათ დაწუნებულ მანქანათა სათადარიგო ნაწილების შეგროვება და დახარისხება, სათადარიგო ნაწილების რესტავრაცია და ახლების დამზადება.

მოსავლის ასაღები ინვენტარისა და ტრანსპორტის რემონტისათვის სრულად დატვირთონ კოლმეურნეობებში არსებული ყველა სამეცდლო, აგრეთვე მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების სახელოსნოები;

ე) დაუყოვნებლივ გამოარკვიონ ის ფართობები, რომლებზეც მოსავალი აღებულ უნდა იქნას კომბაინებით, სხვა მანქანებითა და ხელით, და მოსავლის აღების დაწყებამდე 5 დღით ადრე ნატურით მიამაგრონ ასაღები ფართობები თითოეულ კომბაინს, თითოეულ მანქანას და კოლმეურნეთა ბრიგადას;

ვ) ნაკვეთების გამოყოფა და ნატურით მიმაგრება კომბაინებზე ჩაატარონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა აგრონომებთან, მექანიკოსებთან, კომბაინერებთან, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან და მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირებთან ერთად.

ნაკვეთების გამოყოფა გააფორმონ აქტებით, რომლებშიც ნაჩვენები უნდა იყოს ნაკვეთების სახელწოდება და ზომა, კულტურათა და ჯიშთა სახელწოდება, აგრეთვე იმ კომბაინის ნომერი, რომელიც ამ ნაკვეთზე პურეულს აიღებს;

ზ) დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს დროულად უზრუნველჰყონ ნაკვეთების მომზადება მოსავლის კომბაინებით ასაღებად, რისთვისაც ჩაატარონ ნაკვეთთა კუთხეების მოცილება და შეაკეთონ მისადგომი გზები და ხიდები.

პასუხისმგებლობა მისადგომი გზებისა და ხიდების რემონტისათვის დაეკისროთ კოლმეურნეობებში — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ხოლო მთლიანად რაიონში — პერსონალურად რაიმეწგანის გამგეს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, მტს-ებისა და იმ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომლებსაც მარცვლეულ თავთავიან კულტურათა ნათესები აქვთ:

ა) ყოველ აგრეგატზე დანიშნონ კომბაინერები, კომბაინერთა თანაშემწეები და ტრაქტორისტები, ამასთან სავსებით გამოიყენონ აგრეგატების დასაკომპლექტებლად ყველა ის კომბაინერები, კომბაინერთა თანაშემწეები და ტრაქტორისტები, რომლებიც მომზადებულ იქნენ მექანიზაციის სკოლებში და მტს-ების კურსებზე;

ბ) შეადგინონ კომბაინების მოძრაობის მარშრუტი, ცალკეულ ნაკვეთებზე პურეულის მომწიფების ვადების გათვალისწინებით, და თითოეულ კომბაინერს ჩაუბარონ მოსავლის აღების გეგმა, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს კოლმეურნეობის სახელწოდება, ნაკვეთის სახელწოდება და ზომა კულტურათა და ჯიშთა მიხედვით.

3. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს და მტს-ების დირექტორებს:

ა) გამოჰყონ კოლმეურნეობებიდან საჭირო რაოდენობით კოლმეურნენი, ცოცხალი გამწევი ძალა და ტრანსპორტი კომბაინების მომსახურებისათვის;

ბ) მიამაგრონ ყოველ აგრეგატს კომბაინების მუშაობის მთელი პერიოდისათვის კოლმეურნეთა მუდმივი შემადგენლობა ცოცხალი გამწევი ძალისა და ტრანსპორტის სათანადო რაოდენობით;

გ) უზრუნველჰყონ საწვავისა და წყლის დროული და შეუფერხებელი გადატანა, კომბაინის ბუნკერიდან მარცვლის განტვირთვა, მარცვლის გაწმენდა და ხმობა, ნამჯის დაბულულება იმ ანგარიშით, რომ ამ სამუშაოთა შეფერხულებლობის მიზეზით არ დაუშვან კომბაინების მოცდენა.

კომბაინზე მიმაგრებული ყველა კოლმეურნე დაუქვემდებარონ უშუალოდ კომბაინერს.

4. დაევალოს რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) დაუწესონ მოსავლის ასაღებ თითოეულ მანქანას (ძნის მკნავ, სამკელ, სათიბ მანქანას და სხვ.) თითოეულ კოლმეურნეობაში მოსავლის აღების გეგმა და განსაზღვრონ მანქანების ყოველდღიური დატვირთვა, მათი მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინებით. ამავე დროს, შეადგინონ მანქანების მოძრაობის გრაფიკი, გაითვალისწინონ მათი გადაგზავნა მოსავლის ასაღებად ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში, ურთიერთდახმარების წესით;

ბ) გამოჰყონ კოლმეურნეები და მუშები მარტივ მანქანებზე სამუშაოდ და მიამაგრონ ისინი ამ მანქანებს მოსავლის აღების მთელი პერიოდისათვის;

გ) წინასწარ საამაო რაოდენობით გამოჰყონ კოლმეურნენი და კოლმეურნე ქალები მარცვლეულ კულტურათა მოსავლის ხელით ასაღებად, უზრუნველჰყონ ისინი მოსავლის ასაღები ინვენტარით (ნამგლებით, ცელებით) და დაუწესონ მათ მოსავლის აღების ყოველდღიური გეგმა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, მტს-ებისა და იმ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომლებსაც მარცვლეულ თავთავიან კულტურათა ნათესები აქვთ:

ა) ყოველ აგრეგატზე დანიშნონ კომბაინერები, კომბაინერთა თანაშემწეები და ტრაქტორისტები, ამასთან სავსებით გამოიყენონ აგრეგატების დასაკომპლექტებლად ყველა ის კომბაინერები, კომბაინერთა თანაშემწეები და ტრაქტორისტები, რომლებიც მომზადებულ იქნენ მექანიზაციის სკოლებში და მტს-ების კურსებზე;

ბ) შეადგინონ კომბაინების მოძრაობის მარშრუტი, ცალკეულ ნაკვეთებზე პურეულის მომწიფების ვადების გათვალისწინებით, და თითოეულ კომბაინერს ჩაუბარონ მოსავლის აღების გეგმა, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს კოლმეურნეობის სახელწოდება, ნაკვეთის სახელწოდება და ზომა კულტურათა და ჯიშთა მიხედვით.

3. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს და მტს-ების დირექტორებს:

ა) გამოჰყონ კოლმეურნეობებიდან საჭირო რაოდენობით კოლმეურნენი, ცოცხალი გამწევი ძალა და ტრანსპორტი კომბაინების მომსახურებისათვის;

ბ) მიამაგრონ ყოველ აგრეგატს კომბაინების მუშაობის მთელი პერიოდისათვის კოლმეურნეთა მუდმივი შემადგენლობა ცოცხალი გამწევი ძალისა და ტრანსპორტის სათანადო რაოდენობით;

გ) უზრუნველჰყონ საწვავისა და წყლის დროული და შეუფერხებელი გადატანა, კომბაინის ბუნკერიდან მარცვლის განტვირთვა, მარცვლის გაწმენდა და ხმობა, ნამჯის დაბულულება იმ ანგარიშით, რომ ამ სამუშაოთა შეფერხულებლობის მიზეზით არ დაუშვან კომბაინების მოცდენა.

კომბაინზე მიმაგრებული ყველა კოლმეურნე დაუქვემდებარონ უშუალოდ კომბაინერს.

4. დაევალოს რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) დაუწესონ მოსავლის ასაღებ თითოეულ მანქანას (ძნის მკნავ, სამკელ, სათიბ მანქანას და სხვ.) თითოეულ კოლმეურნეობაში მოსავლის აღების გეგმა და განსაზღვრონ მანქანების ყოველდღიური დატვირთვა, მათი მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინებით. ამავე დროს, შეადგინონ მანქანების მოძრაობის გრაფიკი, გაითვალისწინონ მათი გადაგზავნა მოსავლის ასაღებად ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში, ურთიერთდახმარების წესით;

ბ) გამოჰყონ კოლმეურნეები და მუშები მარტივ მანქანებზე სამუშაოდ და მიამაგრონ ისინი ამ მანქანებს მოსავლის აღების მთელი პერიოდისათვის;

გ) წინასწარ საამაო რაოდენობით გამოჰყონ კოლმეურნენი და კოლმეურნე ქალები მარცვლეულ კულტურათა მოსავლის ხელით ასაღებად, უზრუნველჰყონ ისინი მოსავლის ასაღები ინვენტარით (ნამგლებით, ცელებით) და დაუწესონ მათ მოსავლის აღების ყოველდღიური გეგმა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს და მარცვლეულ კულტურათა ნათესების მქონე ყველა რაიონთა რაიმეწგანებს მოსავლის მასობრივი აღების დაწყებამდე 10 დღით ადრე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაატარონ ნათესების შემოწმება საათესლე ნაკვეთებზე და, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ საათესლე ნაკვეთები თესვის დროს არ გამოუყვიათ, ან გამოყოფილი საათესლე ნაკვეთები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, გამოჰყონ საათესლე ნაკვეთები ჯიშიანი ნათესებიდან, რომლებიც გაწმენდილია სარეველა მცენარეებისაგან. თუ ჯიშიანი ნათესები არ არის, საათესლე ნაკვეთებად გამოჰყონ მწკრივად ნათესები იმ ოდენობით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 11 იანვრის დადგენილებით.

6. წინადადება მიეცეს ყველა რაიაღმასკომსა და რაიმეწგანს თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღების დაწყებამდე გამოჰყონ და მომამზადონ კალოები; კატეგორიულად აიკრძალოს მარცვლეულის გალეწვა ძველ კალოებზე, თუ ისინი წინასწარ არ იქნა მომწვარი და გაუვნებლებული.

ამავე დროს, უზრუნველყოფილ იქნას მარცვლასწმენდი მანქანების, მარცვლასაცავების და ტრანსპორტის დროული გაწმენდისა და დეზინფექციის ჩატარება ყველა კოლმეურნეობაში.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უზრუნველჰყონ ყველა მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში ყველა სახის საწვავისა და საცხები მასალების მარაგის დაგროვება მოსავლის აღების ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობით, სულ მცირე 15 დღის მუშაობის ანგარიშით,

8. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს შეამოწმონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 22 მაისის დადგენილების შესრულება და უზრუნველჰყონ ყველა მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის ასაღები აგრეგატების (კომბაინების, ტრაქტორების) მომსახურებისათვის მძრავი სარემონტო სახელოსნოების მოწყობა როგორც ავტომანქანებზე, ისე ცხენებზე. რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნან კოლმეურნეობებიდან, ამასთან ნიამორაგონ ეს სახელოსნოები ინსტრუმენტებით, სათადარიგო ნაწილებითა და სარემონტო მასალით.

9. დაევალოს რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს დაუყოვნებლივ დამთავრონ არსებული საველე ბანაკების რემონტი და ახალი ბანაკების მშენებლობა, გაანართონ ისინი ინვენტარით და გამოჰყონ საჭირო პროდუქტები კომბაინერთა, ტრაქტორისტთა და პურეულის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეთა სოზოგადოებრივი კვების მოსაწყობად.

## II. მოსავლის აღებისა და გალეწვის ჩაფაქრების დარგში

10. დაევალოს რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) იმ ზიზნით, რომ არ დაუშვან მოუჭრელი პურეულის გადამწიფება და მისი ჩაცვენა, მოაწყონ ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და ბრიგადაში ცალკეულ ნაკვეთებზე პურეულის მომწიფებისადმი მუდმივი და გულდასმითი თვალყურის დევნება, იმ ანგარიშით, რომ არ დაელოდონ მთელ მასივზე პურეულის მომწიფებას და შეუდგნენ კომბაინებით, მარტივი მანქანებითა და ხელით შერჩევითს აღებას;

ბ) დაიწესონ, რომ კომბაინებით თავთავიან კულტურათა მოსავლის აღება უნდა სწარმოებდეს სრული სიმწიფის დასაწყისში, ხოლო მოსავლის ასაღები მარტივი მანქანებითა და ხელით—მარცვლის ცვილისებური სიმწიფის პერიოდში;

გ) კომბაინებისა და მოსავლის ასაღები ყველა მარტივი მანქანების მუშაობის ხანგრძლივობა განსაზღვრონ სულ მცირე 16 საათით დღე-ღამეში;

დ) მოსავლის აღება იმ ნაკვეთებზე, სადაც დათესილია ხორბლის ცვენადი ჯიშები (კოოპერატორკა, უკრაინკა, უფხო და სხვ.). აწარმოონ შემჭიდროებულ ვადებში, მაგრამ არა უმეტეს, ვიდრე 3 სამუშაო დღეში, ხოლო დანარჩენი ჯიშებისა—10-12 საუშაო დღეში მოსავლის აღების დაწყების დღიდან;

ე) დაუწესონ გულდასმითი კონტროლი პურეულის მოსავლის აღების ხარისხზე, არ დაუშვან კომბაინებით მოსავლის აღებისას ყანის მაღლა მოჭრა. ჩაწოლილი პურეულის აღებისას პრაქტიკაში შემოიღონ ხედერით მოდების სიგანის შემცირება, აგრეთვე მოაწყონ ხედერებზე სპეციალური ხელსაწყოები ჩაწოლილი პურეულის ასაღებად;

ვ) დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით, მოსავლის ასაღებ ყველა მანქანაზე მოაწყონ მარცვალდამჭერი, ხოლო კომბაინებზე ნამჯის დამბულულებელი.

ამავე დროს, უზრუნველჰყონ კომბაინზე ბუნკერების შნეკებში ხარვეზების, განსაკუთრებით ბაქნებისა და სხვა მოწყობილობათა დადგმა;

ზ) პურეულის მოჭრისთანავე უზრუნველჰყონ ძნის შეკონვისა და ბულულებად დადგმის ჩატარება;

თ) მოაწყონ მთელი პურეულის დროული დახვინვა იმ ანგარიშით, რომ ეს სამუშაო დამთავრდეს 8 დღის განმავლობაში პურეულის მოჭრის დამთავრების შემდეგ და დადგან ზვინები ცალცალკე მემინდვრეობის ბრიგადების მიხედვით;

ი) კომბაინებით მოსავლის აღებისთანავე, აუცილებლად მოაწყონ დარჩენილი თავთავების ხელით აკრეფა და კუთხეების შემოცლა; მოსავლის ხელით აღებისას უზრუნველჰყონ მთლიანად მოფუცხვა და შემდგომ ძნებად შეკონვა და მწკრივებად დაწყობა.

11. ნება დაერთოს რაიაღმასკომებს და მტს-ების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს, იმ შემთხვევაში, თუ კომბაინი უწესივრობის მიზეზით მოცდება, იმ მიზნით, რომ არ დაუშვან მარცვლის ჩაცვენა, აწარმოონ პურეულის აღება მარტივი მანქანებით ან ხელით, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული მასივი გამოყოფილი იყო მოსავლის ასაღებად კომბაინით.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, მტს-ების დირექტორებს და რაიმეწგანების გამგეებს გამსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მარცვლეულ კულტურათა მოსავლის აღებას მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებში და კოლმეურნეობათა საათესლე ნაკვეთებზე; ამ მიზნით მოსავლის ასაღებად გამოჰყონ გამოცდილი კომბაინერები და უზრუნველჰყონ საათესლე ნაკვეთებზე მოსავლის აღება 5-6 დღის განმავლობაში მარცვლის სრული სიმწიფის დადგომის შემდეგ; არ დაუშვან მარცვლის ჯიშთა, სახეობათა და

# საყოველთაო-სახალხო ხელმოწერა ახალ სესხზე!

## ბორის რაიონი

**ბორი** („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონში 7 ივნისს, საღამოს 8 საათისათვის, სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა შეადგენდა 13.670.000 მანეთს, აქედან კოლეგიურნეებს ნაღდად შეტანილი აქვთ 8.743.000 მანეთი.

ქვეშის კოლეგიურნეობა „წითელი შრომის“ 168 კოლეგიურნემ 400.000 მან. სესხი მისცა სახელმწიფოს. აქედან ხელისმოწერისთანავე დაფარულ იქნა 389.395 მან. ამ კოლეგიურნეობის წევრმა, ფრონტელის ცოლმა ვეროა ელიზბარაშვილმა 10.000 მანეთზე მოაწერა ხელი. ეს თანხა მან ხელისმოწერისთანავე დაჰფარა. სამამულო ომის ინვალიდმა ალექსანდრე ქონიაშვილმა ნაღდად შეიტანა 10.000 მან.

ციცაგიანთკარის კოლეგიურნეობის წევრებმა 3 საათის განმავლობაში დაამთავრეს სესხზე ხელისმოწერა. ხელის მოწერის მთლიანი თანხა—258.000 მან. ნაღდად იქნა შეტანილი. აღნიშნული კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვანო ჩიტაიშვილმა 30.000 მანეთზე მოაწერა ხელი, სტანანოველმა კოლეგიურნემ ვანო ციცაგმა—18.000 მან. რაოდენობით და თანხა ნაღდად შეიტანა. კოლეგიურნე ვაჟა ბორიათაშვილმა 41.000 მან. მისცა სახელმწიფოს სესხად, მან 20.000 მან. იქვე დაჰფარა. სამამულო ომის ინვალიდმა დუდაშვილმა 10.000 მან. ობლიგაციაზე მოაწერა ხელი და ფულიც ნაღდად შეიტანა.

ფლავისმანის კოლეგიურნეობის პოხუცაძე კოლეგიურნემ დათა გიუნაშვილმა, რომლის 6 შვილი სამამულო ომის ფრონტზე იბრძვის, 7.000 მანეთზე მოაწერა ხელი და ეს თანხა იქვე შეიტანა.

**შ. ჩუბინიძე**

## მახარაძის რაიონი

**მახარაძე** („კომუნისტის“ საკ. კორ.). მახარაძის რაიონში 7 ივნისს, საღამოსათვის ძირითადად დამთავრდა ახალ სესხზე ხელმოწერა. საღამოსათვის ხელმოწერის თანხა უდრიდა 10.015.000 მანეთს, ნაღდად შემოსული იყო 4.043.000 მანეთი. მარტო კოლეგიურნეობებში ნაღდად შეტანილი თანხა შეადგენდა 920.000 მანეთს.

მერიის, წითელი მთის, ბაღდადის, ზვანის, დვაბზუს კოლეგიურნეობებმა ხელმოწერილი თანხა მთლიანად შეიტანეს.

**ლ. ლოლაძე**

## წითელწყაროს რაიონი

**წითელწყარო** („კომუნისტის“ საკ. კორ.). წითელწყაროს რაიონში 7 ივნისს საღამოს 8 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხა 10.637.000 მანეთს შეადგენდა. აქედან ნაღდ ფულად შეტანილია 4.080.000 მანეთი. კოლეგიურნეებმა ხელი მოაწერეს 7.672.000 მანეთზე და აქედან ნაღდად შეიტანეს 3.300.000 მანეთი. კოლეგიურნეობებმა შეიძინეს 1.777.000 მანეთის ობლიგაციები. მათ ნაღდ ფულად შეიტანეს 708.000 მანეთი. მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 1.188.000 მანეთზე, აქედან ნაღდად შეიტანეს 22.000 მანეთი.

სოფ. ქვემო ქედის კროვის სახელობის კოლეგიურნეობაში იმავე რიცხვისათვის ხელმოწერამ 1.434.000 მანეთს მიაღწია. აქ ნაღდ ფულად შეტანილია 500.000 მანეთი. ქვემო ქედის მახარაძის სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ ფადიურაშვილმა ხელი მოაწერა 100.000 მანეთზე და ფული მთლიანად შეიტანა. სოფ. ზემო მაჩხაანის ბერიას სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ ალადაშვილმა ხელი მოაწერა 30.000 მანეთზე, რაც იქვე დაჰფარა. სოფ. ჯაფარიძის კოლეგიურნეობა „შრომის“ წევრმა, სამამულო ომის მონაწილე სიმონიძემ 10.000 მანეთზე მოაწერა ხელი. შირაქის მტყ-ის ტრაქტორისტმა თამარ ხუციურაულმა ხელი მოაწერა 25.000 მანეთზე და მარო გიგაურმა—20.000 მანეთზე. ხელმოწერა გრძელდება.

**ი. მოლოდინი**

## ფოთის რაიონი

**ფოთის რაიონში** 7 ივნისს დღის 2 საათისათვის სესხზე ხელმოწერა უდრიდა 4.240.075 მანეთს. აქედან ქალაქის მოსახლეობაზე მოდის 3.658.525 მანეთი. კოლეგიურნეობებმა და სარეწაო არტელებმა ხელი მოაწერეს 365.550 მანეთზე. კოლეგიურნეობებმა და კოლეგიურნეებმა ხელმოწერის თითქმის მთელი თანხა ნაღდად შეიტანეს. 7 ივნისისათვის ნაღდად შეტანილი იყო 329.905 მანეთი.

სოფ. საბაჟოს კოლეგიურნეობის წევრმა ა. ხუნწარიამ ნაღდად შეიძინა 5.000 მანეთის ობლიგაციები, კომკავშირელმა კოლეგიურნემ ნადარეიშვილმა—3.000 მანეთისა, ი. კვარაცხელიამ (ნინოშვილის უბნის კოლეგიურნეობა)—1.500 მანეთის, ჯ. კვარაცხელიამ და ე. კასრაძემ—თითოეულმა 1.000 მანეთის.

## ყვარლის რაიონი

**ყვარლის რაიონში** 7 ივნისს საღამოს 8 საათისათვის სესხზე ხელის მოწერის თანხა შეადგენდა 3.588.000 მანეთს, კოლეგიურნეებმა ხელი მოაწერეს 2.468.000 მანეთზე, აქედან 1.476.100 მან. შეტანილია ნაღდად. კოლეგიურნეობებმა ხელი მოაწერეს 600.000 მანეთზე, მუშა-მოსამსახურეებმა—520.000 მანეთზე.

ყვარლის სტალინის სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ხუციანაშვილმა სახელმწიფოს სესხად მისცა 45.000 მანეთი. სოფ. გავაზის კოლეგიურნეობის „განთიადის“ კოლეგიურნე მგელაძემ ხელი მოაწერა 50.000 მანეთზე, წინწყარაანთ ხევის სტალინის სახელობის კოლეგიურნეობის წევრმა ბიბილაშვილმა და ბარიეფიანის კოლეგიურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრმა მიხეილიძემ ხელი მოაწერეს 10.000 მანეთზე თითოეულმა. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

## ბოლნისის რაიონი

**ბოლნისი** (ტელეფონით). სამი დღის განმავლობაში ბოლნისის რაიონის მშრომელებმა სესხზე ხელი მოაწერეს 4.500.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან ნაღდად შეტანილია 2.200.000 მანეთი.

სოფ. დარბაზის ტელმანის სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ყურბან ალიევმა 50.000 მანეთი მისცა სესხად სახელმწიფოს და აღნიშნული თანხა ნაღდად შეიტანა. სოფ. მუსევანის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ ამხ. რუსტან აჯიდ-ოღლიმ ხელი მოაწერა 40.000 მანეთზე, რაც მთლიანად დაჰფარა. ასევე ლენინის სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ალი მამედოვმა 20.000 მანეთზე მოაწერა ხელი და ეს თანხა ნაღდად შეიტანა. ხელმოწერა გრძელდება.

## ბორჯომის რაიონი

**ბორჯომი** (ტელეფონით). 8 ივნისის საღამოს, 8 საათისათვის ბორჯომის რაიონში მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 4.442.000 მანეთს. აქედან კოლეგიურნეებმა ხელი მოაწერეს 1.288.000 მანეთზე და მთელი ეს თანხა ნაღდად შეიტანეს. რაიონის მუშა-მოსამსახურეთა შორის სესხზე ხელმოწერის თანხა უდრის 2.789.000 მანეთს, ხოლო კოლეგიურნეობებმა ხელი მოაწერეს 365.000 მანეთზე.

სოფ. მოქცევის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ ამხ. დ. მარტინენკომ ხელი მოაწერა 5.000 მანეთზე და ეს თანხა ნაღდად შეიტანა.

## ყარაიის რაიონი

**ყარაიის რაიონის** მშრომელებს 8 ივნისს დილის 10 საათისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 1.898.000 მანეთის რაოდენობით. აქედან ნაღდად შეტანილია 1.312.000 მანეთი. ხელმოწერა გრძელდება.

## ქვემო-სვანეთის რაიონი

**ქვემო-სვანეთის რაიონში** 7 ივნისს, საღამოს 8 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 535.000 მანეთს. აქედან მუშა-მოსამსახურეებს ხელი მოწერილი აქვთ 217.000 მანეთზე, კოლეგიურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს—308.000 მანეთზე, კოლეგიურნეობებსა და სარეწაო არტელებს—10.000 მანეთზე. რაიონში კოლეგიურნეებს ნაღდად შეტანილი აქვთ 222.000 მანეთი.

კოლეგიურნეებმა ვალენტინ ონიანმა, ბუჭუ ბაკირაძემ, ბარამ ონიანმა ხელი მოაწერეს 3.000 მანეთზე თითოეულმა, რაც იქვე გაანაღდეს, ხოლო კოლეგიურნე ფედოსი ონიანმა, გ. ლიპარტელიანმა ხელი მოაწერეს თითოეულმა 1.000 მანეთზე, რაც ნაღდად შეიტანეს. ერთპიროვნულმა მეურნეებმა ივანე, ნესტორ, ვლადიმერ, სანდრო ქურასპედიანებმა, ალექსანდრე მეშველიანმა, სამსონ ქარდაეამ, ანა გვიდიანმა და კ. ჭანკვეტაძემ ხელი მოაწერეს 1.000-1.500 მანეთზე, რაც ნაღდად შეიტანეს. ვეტექიმმა აკაკი დავითულიანმა, პ. მარგიანმა, დ. ბაბლიანმა ხელი მოაწერეს ორ-ორი თვის ხელფასზე.

**გ. ჩაგელიშვილი**

## ზესტაფონის რაიონი

**ზესტაფონის** რაიონის მშრომელებმა 3 ივნისისათვის ხელი მოაწერეს 8.532.000 მანეთზე. ამ თანხიდან ნაღდ ფულად სახბანკო რაიგანყოფილებაში ამავე რიცხვისათვის შეტანილი იყო 3.800.000 მანეთი.

სოფ. მეორე სვირის ბერიას სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ დავით ცხადაძემ, სოფ. თვრინის მიქაიანის სახ. კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ ჭანკოტაძემ, სოფ. ცხრაწყაროს ბერიას სახელობის კოლეგიურნეობის მოანგარიშემ გრიგოლ წაქაძემ და მეორე სვირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ნოე მერკვილაძემ ხელი მოაწერეს 100.000 მანეთზე თითოეულმა და ხელმოწერილი თანხა მთლიანად შეიტანეს სალაროში. მათს მაგალითს მიბაძეს მთელმა რიგმა მოწინავე კოლეგიურნეებმა და კოლეგიურნეობათა თავმჯდომარეებმა:

სოფ. ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ სიმონ ყანჩაველმა ხელი მოაწერა 30.000 მანეთზე, სოფ. ცხრაწყაროს კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ ემელიანე ამილახვარმა—15.000 მანეთზე; სოფ. არგვეთის ბერიას სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ სიმონ ოკრიბელაშვილმა, ზესტაფონის ბაქრაძის სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ კონსტანტინე არაბიძემ, კოლეგიურნეებმა: ი. ხიდაშელმა, ვ. ცხადაძემ, პ. ბრეგვაძემ, ს. კამლაძემ, ვ. კაკაურიძემ, ს. ლომინაშვილმა და ა. გაჩეჩილაძემ—10.000 მანეთზე თითოეულმა და ხელმოწერილი თანხები იქვე გაანაღდეს.

ასეთი მაგალითები რაიონში მრავალია.

სესხის გავრცელება ყველაზე კარგად მოაწყეს შემდეგმა სასოფლო საბჭოებმა: მეორე სვირის (თავმჯდომარე ნ. მერკვილაძე), სადაც ხელმოწერილი და განაღდებულია 612.000 მანეთი, პირველი სვირის (თავმჯდომარე ნ. ჭულუხაძე)—ხელმოწერილი და განაღდებულია 501.000 მანეთი, როდინოულის (თავმჯდომარე გ. აბესაძე)—ხელმოწერილი და განაღდებულია 310.000 მანეთი, ალავერდის (თავმჯდომარე ს. ყანჩაველი)—ხელმოწერილია და ნაღდად შეტანილია 201.000 მანეთი. სესხზე ხელის მოწერა გრძელდება.

**საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ს. საკვარელიძე**

**რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ბერაძე**

## სიღნაღის რაიონი

**სიღნაღი** („კომუნისტის“ კორ.). სიღნაღის რაიონის მშრომელებმა 7 ივნისის საღამოს 8 საათისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 9.762.000 მანეთის რაოდენობით. აქედან ნაღდად შეტანილი აქვთ კოლეგიურნეებს 4.573.000 მანეთი. მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს თვე ნახევრისა და ორი თვის ხელფასზე.

წარმატებით ჩატარდა სესხზე ხელმოწერა საზაფხულო საძოვრებზე მყოფ მეცხვარე მწყემსებს შორის. სოფ. მაჩხაანის ქახარაძის სახელობის კოლეგიურნეობის მეცხვარეობის ფერმის 21 მწყემსმა ხელი მოაწერა 55.000 მანეთზე, ხელმოწერის თანხა მათ მთლიანად დაჰფარეს. ფერმის გამგემ გიო დურაშვილმა ხელი მოაწერა 11.000 მანეთზე. ნუკრიანის „პარიზის კომუნის“ სახელობის კოლეგიურნეობის მეცხვარეობის ფერმის 46 მწყემსმა ხელი მოაწერა 127.800 მანეთზე, ფერმის გამგემ შაქრო ჯანგულაშვილმა—15.000 მანეთზე. ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლეგიურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგემ ნ. გაგაძემ შეიძინა 20.000 მანეთის ობლიგაციები. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლეგიურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგემ რამან კოტლამაზაშვილმა ხელი მოაწერა 15.000 მანეთზე. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

**ი. სიმონიშვილი, ნ. ფურცელაძე**

## ბორჩალოს რაიონი

**ბორჩალოს რაიონში** 8 ივნისისათვის მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის თანხამ 4.247.000 მანეთს მიაღწია. კოლეგიურნეებმა, შორის ახალი სესხი გავრცელებულია 2.120.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან უკვე ნაღდად შემოვიდა 1.890.000 მანეთი. რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 903.000 მანეთზე, ხოლო კოლეგიურნეობებმა და სხვადასხვა ორგანიზაციებმა—1.224.000 მანეთზე.

სოფლად ახალი სესხის გავრცელება დიდი პოლიტიკური აღმავლობით ხასიათდება. სოფ. ქესალოს კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ ალი ჰასან-ოღლი ალიევმა ხელი მოაწერა და იქვე ნაღდად შეიტანა 20.000 მან., კოლეგიურნე ალაბვერდი-ოღლიმ ხელი მოაწერა 15.000 მანეთის სესხზე და თანხა ნაღდად შეიტანა. სოფ. ფასალოს პირველი მაისის სახელობის კოლეგიურნეობის ბრიგადირმა აზიზ საოლქო, საქალაქო და სარაიონო ორგანოებს წინადადება მიეცათ მუდმივი კონტროლი გაუწიონ პენსიების სწორად დანიშვნას და თავის დროზე გაცემას და ამ მუშაობაში ჩააბან ფართო აქტივი, მათ შორის თვითონ პენსიონერები. ამ წლის განმავლობაში უნდა ჩატარდეს პენსიების გაცემის რევიზია რუსეთის სფს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი სამამულო ომის ინვალიდების საპენსიო მომსახურების, შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის გასაუმჯობესებლად. სოციალური უზრუნველყოფის რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და სარაიონო ორგანოებს

## ალექსანდრე გველესიანის ხსოვნას

**საბჭოთა კულტურის** მოწინავე მუშაკთა რიცხვს გამოაკლდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დიდად ნაამაგარი მუსიკოსი, ქართული საბჭოთა სიმფონიური კულტურისათვის მებრძოლი დირიჟორი ალექსანდრე გველესიანი.

ალექსანდრე გველესიანი დაიბადა 1897 წელს. თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. მეოთხე კურსიდან იურიდიულ ფაკულტეტს თავი დაანება და მუსიკალური ხელოვნების შესწავლას მოჰკიდა ხელი. მისი მასწავლებლები იყვნენ: ზაქარია და ივანე ფალიაშვილები, ა. ბარხუდაროვი, ა. ტერ-გევონდიანი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი და ნ. ჩერეპნინი.

1921 წელს ა. გველესიანმა თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში დაიწყო მუშაობა. 1922 წლიდან, როდესაც კოტე მარჯანიშვილი ჩაუდგა სათავეში ქართულ საბჭოთა თეატრს, მან თანაშემწედ მუსიკოსთა წრიდან ა. გველესიანი მიიწვია. ა. გველესიანი იყო ჯერ რუსთაველისა და შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგე და დირიჟორი. ა. გველესიანმა დიდი როლი ითამაშა დრამატიულ-თეატრალური ხელოვნების მუსიკით გამდიდრების საქმეში, ხელი შეუწყო ახალგაზრდა საბჭოთა კომპოზიტორების ჩაბმას დრამატიული თეატრების შემოქმედებითს მუშაობაში და მათს ნაყოფიერ თანამშრომლობას კოტე მარჯანიშვილთან.

სადირიჟორო პულტთან ათეული წლების მანძილზე შემოქმედებით, კოტე მარჯანიშვილის მგზნებარე ხელოვნებით შთაგონებული ის, იმდენად მოწინავე ოსტატად მომზადდა და გამოიწრთო, რომ 1929 წელს თბილისის სახელმწიფო ოპერის დირიჟორად მიიწვიეს. ამავე დროს ა. გველესიანი ერთ-ერთი მოქართული — სიმფონიური კულტურის დანერგვისა, ასევე ენერგიულ ენერგიას, ენერგიულ საქმიანობას ეფარებულ იჩენდა და ყველა დაბრკოლებათა გადამლახველი ნებისყოფით აყალიბებდა სიმფონიურ ორკესტრს, წინ უძღოდა მის მხატვრულ ზრდასა და მომწიფებას.

1938-დან 1941 წლამდე ა. გველესიანი საქართველოს ფილარმონიას უძღოდა, როგორც მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი.

1936 წლიდან ა. გველესიანი მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტის მუსიკალურ გადაცემათა მთავარ რედაქტორად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და დღითიდღე იზრდებოდა საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე მხატვრული კოლექტივი—რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი.

საქართველოს მთავრობამ ღირსეულად დააფასა ა. გველესიანის ღვაწლი ქართული საბჭოთა თეატრალური და სიმფონიური კულტურის დარგში და 1941 წელს მას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა.

ა. გველესიანის ნათელი ხსოვნა დაუფიწყარი იქნება ქართული საბჭოთა კულტურის ისტორიაში.

**ლ. ესაკია, პ. კანდელაკი, ა. ვასაძე, ვ. გოკიელი, გრ. კილაძე, კ. ფოცხვერაშვილი, გ. ვენაძე, ნ. ვაჩნაძე, მ. ჟიაურელი, ა. ხორავა, თ. ჭავჭავაძე, ა. წუწუნავა, ე. სოხაძე, ს. ინაშვილი, დ. ანდღულაძე, შ. ღამბაშიძე, უშ. ჩხეიძე, დ. ანთაძე, ვ. ანჯაფარიძე, შ. მშველიძე, გ. ჩხიკვაძე, პ. ხუჭუა, შ. აზმაიფარაშვილი, ო. დიმიტრიადი, ს. სტოლლერმანი, ა. გაუკი, ი. ზურაბიშვილი, ი. ნატროშვილი, კ. ძიძიგური, დ. ჯანელიძე, კ. კალაძე, გ. მანჯგალაძე, ვ. ძამაშვილი, მ. ბორჩხაძე, გ. ხახანაშვილი.**

## სამამულო ომის ინვალიდების საპენსიო მომსახურება და შრომითი მოწყობა

ადგილობრივ ენერგიას, ენერგიულ საქმიანობას ეფარებულ იჩენდა და ყველა დაბრკოლებათა გადამლახველი ნებისყოფით აყალიბებდა სიმფონიურ ორკესტრს, წინ უძღოდა მის მხატვრულ ზრდასა და მომწიფებას.

ითის სფს რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამამულო ომის ინვალიდების სამუშაოზე გაგზავნას და საჭირო საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას მათთვის.

ფართოვდება იმ სპეციალობათა წრე, რომლებსაც სწავლობენ სამამულო ომის ინვალიდები. შემოღებული იქნება სახარატო საზეინკლო, სამზარეულო, მესაათეობისა და სხვა სპეციალობათა შესწავლა. ინტერნატებში, სადაც სამამულო ომის ინვალიდები ცხოვრობენ, ეწყობა სახელოსნოები. (საკდესი).

## სამხედრო-სასპორტო მეცადინეობა სკოლებში

**რუსეთის** სფს რესპუბლიკის განსახკომმა და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა მიიღეს საერთო გადაწყვეტილება სკოლებში მასობრივი კლასგარეშე სამხედრო-სასპორტო მუშაობის განვითარების შესახებ. ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან თითოეულ დაწყებითს სკოლაში ეწყობა წრეები: სამხედრო ცოდნის, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის, სანიტარული, ფიზკულტურული, თამაშისა და სახალხო ცეკვის; არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში V-X კლასების მოსწავლეებისათვის—სამხედრო წრეები (სასროლო, კავშირგაბმულობის, სასანგრო და სამხედრო-სანიტარული საქმის, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის, ტოპოგრაფიის) და სასპორტო სექციები (ხელჩართული ბრძოლის, კრივის, ჭიდაობის, ავტო-მოტოციკლო, ცურვის, მეთხილამურეობის, ტანთვარჯიშობის, ფეხბურთისა და სხვ.).

1-დან 15 სექტემბრამდე სკოლებში ჩატარდება მასობრივი სასპორტო შეჯიბრება. სამხედრო ხელმძღვანელებს გარდა, სასკოლო წრეებისა და სექციების ხელმძღვანელობის საქმეში ჩაბმული იქნებიან მასწავლებლები, სპორტის ოსტატები და სასპორტო ორგანიზაციები. გადაწყვეტილია მომზადებულ იქნეს სპორტის საზოგადოებრივი ინსტრუქტორები თვით მოსწავლეთა წრიდან. (საკდესი).

## ლექციები ჯ მოხსენებები

**9 ივნისს, საღამოს 7 საათზე,** ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბში (სამოსწავლო შენახვები № 2/4) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.**

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში და ინსტიტუტში.

## თეატრებში

**სახოპერა**—9 ივნისს—„ევგენი ონეგინი“, 10 ივნისს—„ქეთო და კოტე“. **რუსთაველის სახელობის**—9 ივნისს—„ბრუსილოვი“, 10 ივნისს—„ოლეკო დუნდიჩი“. **მარჯანიშვილის სახელობის**—9 ივნისს—„ურიელ აკოსტა“, 10 ივნისს—„რაც განახაგს, ვეღარ ნახავ“, **მუსიკალური კომედიის**—9 ივნისს—„არშინ-მალალან“, 10 ივნისს—„ოქროს გასაღები“. **სანკულტურის**—10 ივნისს—„პირისპირ“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—9 და 10 ივნისს—„სურამის ციხე“. **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი**—9 და 10 ივნისს—„რომანტიკოსები“.

## სპეციალიზებული ფრონტელთა ბავშვებისათვის

მთელ რიგ ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების ინიციატივით დაწესებულია სტიპენდიები ფრონტელთა მოსწავლე ბავშვებისათვის. სტიპენდიებს ანაწილებენ სკოლის საბჭოები მშობელთა კომიტეტებთან ერთად.

ირკუტსკსა, ჩერემხოვსა და უსოლიე-სიბირსკში დაწესებულია 4.000 ასეთი სტიპენდია 50-დან 75 მანეთამდე თვეში. სწავლის ფრიადოსნები გადიდებულ სტიპენდიებს იღებენ. (საკდესი).

## კინოებში

**რუსთაველის სახ.**—„ლედი ჰამილტონი“, **ოქტომბერი**—„ანტაშა რიბკინი“, **დამკვრელი**—„შავზღველები“, **კომკავშირელი** და **ლუქსემბურგის სახ.**—„ირანი“, **სპარტაკი**—„მეღორე“, „ცა და ჯოჯოხეთი“, **26 კომ. სახ.**—„ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“, **კომინტერნი**—„ზეცა“, **მეცნიერება და ცოდნა**—„ხიდი“.

**პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი**

**სტალინის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1943 წ. 18 ივნისს, დღის 1 საათზე, ფიზიკის აუდ. (მარის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **გერონტი მელქისედეგის-ძე ფარანგიშვილი** დაიცავს დისერტაციის ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„პირველად მოხსული დრეკადი (სეისმური) ტალღების მეთოდის გამოყენება საფეხურისებრივი გეოლოგიური სტრუქტურის ძიებისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები: ფიზ.-მათემ. მეცნ. კანდიდატი **ე. ი. ბიუსი**, გეოლოგ-მინერალოგ. მეცნ. კანდიდატი დოც. **პ. დ. გამყრელიძე**, ფიზიკა-მათემატ. მეცნიერებ. კანდიდატი დოც. **ლ. გ. მაღნარაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ლ. ესაკია, ი. ნატროშვილი, კ. ძიძიგური, მ. ბორჩხაძე, კ. კალაძე, დ. ჯანელიძე, გ. მანჯგალაძე, ლ. არაქელოვი, ფ. გურსკაია, ნ. ჩანტლაძე იუწყებიან ხელოვნების დამს. მოღვაწის დირიჟორ

**ალექსანდრე იოსების-ძე გველესიანის**

გარდაცვალებას. 1338

საქ. რადიოკომიტეტის მუშაკთა კოლექტივი იუწყება მუსიკ. გადაცემათა მთარედაქტორის, ხელოვნების დამს. მოღვაწის, დირიჟორ

**ალექსანდრე იოსების-ძე გველესიანის**

გარდაცვალებას. პანაშვ. 9/VI, 7 ს. გრიბოედოვის, 14, და 10/VI, 4 ს. სახ. კინო. დარბაზში. გამოსვ. 10/VI, 6 ს. 1338

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო იუწყება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

**ალექსანდრე იოსების-ძე გველესიანის**

გარდაცვალებას. 1340

საქ. რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი იუწყებიან დირიჟორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

**ალექსანდრე გველესიანის**

გარდაცვალებას. 1338

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი იუწყება ხელოვნების დამსახ. მოღვაწეს

**ალექსანდრე გველესიანის**

გარდაცვალებას.

თამარ და ალექსანდრე საბახტარიშვილები იუწყებიან ძმის და ცოლისძმის

**ალექსანდრე იოსების-ძე გველესიანის**

გარდაცვალებას. 1339

მშობლები ვერიკო, ბაგრატ, ძმები ბაგვერი, ჯემალ, და ლალა იუწყებიან

**ლერი ბაგრატის-ძე ბოგხუას**

გარდაცვალებას. პანაშვ. 9/VI, 7 ს. ყაზბეგის, 7. დაკრძ. 10/VI, 7 ს. 1336

ომარ ჭლიკაძე იუწყება

**შახი ემილიანის-ძე კოტრეიძის**

გარდაცვალებას. გამოსვ. 10/VI, ოზურგეთის შესახვ., 12. 1328

მეუღლე ლოლა, შვილები ფარვიზ, დიმა, გურამ იუწყებიან

**ბენედიქტე სარდიონის-ძე ჭელიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/VI, 7 ს. გამოსვ. 10/VI, 6 ს. ყოფ. მიხეილის საავადმყ.

მეუღლე ანდრო შვილით ჯემალით, დედ დამთილი, მამამთილი შვილებით დასიძით იუწყებიან

**ქეთო სულხანიშვილი-წერეთლის**

გარდაცვალებას. 1333

თბილისის 26 კომისრის სახ. რაიფინგანთანამშრომლები იუწყებიან გამგის

**დ. გაგნიძის ბიძაშვილის ყენია სიკოსაასულ გაგნიძის**

გარდაცვალებას. 1334

სსრკ სამრეწველო ბანკის საქ. რეს. კანტორის კოლექტივი იუწყება გ. ჩიქოვანის მეუღლის

**ქეთევან თარგამაძე-ჩიქოვანის**

გარდაცვალებას. 1327

ნადია, ამბაკო ცეცხლაძეები, ეკატერინე, ნოე ჩხატარაშვილები შვილებით იუწყებიან

**ალექსანდრე თაყაიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვ. 9/VI, 6 ს. პეტრიაშვილის, 20. 1329

მეუღლე მარიამ შვილებით, სიძეებით, რძლებით, და ოლია, ბიძაშვილი ვერა ოჯახებითურთ იუწყებიან

**პარმენ ბათლომეს-ძე ნუცუბიძის**

გარდაცვალებას. გამოსვ. 11/VI, 6 ს. ლოტკის, 14. 1337

მეუღლე ეკატერინე, ძმა ცოლ-შვილით, დები ეკა შვილებით, სენოდია ქმარ-შვილით იუწყებიან, რომ 13/VI, 3 ს. კუკის სასაფლაოზე დანიშნულია

**მელიტონ მოსეს-ძე დგვარელის**

სამოქალაქო პანაშვიდი. 1331

დედა ნინო, ძმები ვალენტი, სიმონ, ალექსანდრე, დათიკო იუწყებიან

**იულია ნიკოლოზის-ასულ ჭეიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვ. 9/VI, 8 ს. გამოსვ. 10/VI. 6 ს. ერისთავი-ხოშტარიას, 10.

**საბჭოთა პატრიოტები ერთსულოვნად აწერენ ხელს მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე.** სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარე **მ. ორაგველიძე**, ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **ნ. მერკვილაძე**, ამავე სასოფლო საბჭოში შემავალ ბერიას სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარე **დ. ცხადაძე** (თითოეულმა მათგანმა ხელი მოაწერა 100.000 მანეთზე), გორის რაიონის სვენთის კოლეგიურნეობის თავმჯდომარე **ს. ბადღოშვილი** (ხელი მოაწერა 52.000 მანეთზე); ქუთაისის რაიონის სოფ. გეგუთის კოლეგიურნეობა „წინსულის“ თავმჯდომარე **ი. ფესტვენიძე**, მახარაძის რაიონის ნატანების ბერიას სახელობის კოლეგიურნეობის თავმჯდომარე **ვ. ჯაბუა**, (ხელი მოაწერეს 30.000 მანეთზე თითოეულმა).

# დეპეშები

## საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის დეკლარაცია

**ლონდონი**, 8 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ალჟირიდან რადიომ გამოაქვეყნა საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ოფიციალური დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ, რამდენადაც ფრანგი ხალხის სუვერენულ უფლებათა განხორციელება შესწყდა გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შედეგად, მებრძოლი საფრანგეთის ნაციონალურმა კომიტეტმა და ჩრდილოეთ აფრიკის სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციის მეთაურმა მიიღეს გადაწყვეტილება გაერთიანონ თავიანთი მოქმედება, რათა უხელმძღვანელონ ფრანგთა საომარ ღონისძიებებს. ისინი აცხადებენ, რომ საფრანგეთის ერთიანი ცენტრალური ხელისუფლება შექმნილია და მას ეწოდება საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი, რომელიც კისრულობს ფრან